ბ. დააყენოს დამკვეთის პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.5 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას:

ა. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

ბ. წინასწარ აცნობოს მომხმარებელს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

გ. საქმის კურსშიჩააყენოს შემსყიდველი ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 თუ შემსრულებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, დამკვეთი აფრთხილებს წერილობით, რათა მან უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა.ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებელთან წერილობითი შეთანხმების გარეშე სათანადო რეაგირებისათვის მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

8.2 თუ დამკვეთი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსრულებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა.

## 9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათასრულად ან ნაწილობრივ შესრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველი (ფორს-მაჟორულ) გარემოებათა გამო, როგორიცაა ხანძარი,წყალდიდობა, მეწყერი, ომები და სხვა.

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აღნიშნულის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი გადასინჯვას არ ექვემდებარება.

10.2ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ ერთი მხარის ინტერესები.

## 11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1დამკვეთი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

## 12. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

| „დამკვეთი" | „შემსრულებელი" |
|---|---|
| ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა | ტელე-რადიო კომპანია „ფარვანა" |
| ქ. ნინოწმინდა თავისუფლების ქ.3 | ქ. ნინოწმინდა თავისუფლების ქ.№39 |
| ს/კ 236689874 | ს/კ 236686412 სს „ტაოპრივატბანკი" |
| ანგ. ნომერი GE71LB0610009434080103 | " ნინოწმინდის სერვის-ცენტრი |
| ბანკის კოდი LBRTGE22 | ა/ა GE30TP0036080060015153 |
| | ბანკის კოდი CAVOGE22 |

მხარეთა ხელმოწერები:

ვ. პეტროსიან      ქ. ვარდანიან